ხელშეკრულება №74
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **8 / აპრილი / 2021 წელი**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - თენგიზ აფხაზავას სახით და მეორე მხრივ, შპს „გკ ჯგუფი“ შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის - გიორგი კაკაბაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, აუქციონის გარეშე გამოცხადებული **NAT210004915** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **პირადი ჰიგიენის საშუალებები (CPV-33700000; 33711430; 33711900; 33761000; 33764000)** (შემდგომში - „საქონელი“);

1.2 საქონლის დასახელება/სახეობები, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულისა და საერთო ფასები, წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი განისაზღვრება დანართებით N1,2,3, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **165`000.00** (ასსამოცდახუთიათასი) ლარს.

2.2 პრეტენდნეტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადებაზე თანდართული სხვა დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

3.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. საქონლის მიწოდების ვადა, ადგილი და ფორმა.

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება:

ა) ხელშეკრილების დადებიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე;

ბ) ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებულ 34 საბავშვო ბაღში, შესაბამის მისამართებზე, დანართი N4 -ის შესაბამისად;

გ) ეტაპობრივად, თვეში ერთჯერ, გაუთვალისწინებელ შემთხვევაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

5.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო/სავარაუდო რაოდენობას, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი ათვისება განისაზღვრება შემსყიდველის საჭიროების შესაბამისად.

5.3 ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ა(ა)იპ "ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" დაქვემდებარებაში არსებულ მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის შეჩერების შემთხვევაში, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე აღარ განახორციელებს შესყიდვის ობიექტის შესყიდვას,

შესაბამისად მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველს მოსთხოვოს შესყიდვის ობიექტის შესყიდვა, ასევე თუ, სააღმზრდელო პროცესის შეჩერების შემდეგ, სააღმზრდელო პროცესი განახლდება 2021 წლის 31 დეკემბრამდე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მოწოდება .

5.4 მისაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების კონკრეტული დღე განისაზღვრება შემსყიდველისგან ელექტრონული ფორმით წინასწარ მიცემული შეკვეთის საფუძველზე (მიმწოდებლს შეკვეთა გადაეგზავნება ელექტრონულ მისამართზე @mail), შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეკვეთის გაგზავნის თარიღი ითვლება - შეკვეთის მიცემის თარიღად, ხოლო შეკვეთაში დაფიქსირებული მიწოდების თარიღი - მიწოდების თარიღად;

5.5. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სამუშაო საათებში;

5.6. საქონლის მიწოდებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 1-2 დღისა;

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დროს საქონელი განათავსოს საბავშვო ბაღის წარმომდგენლის მიერ მითითებულ ადგილზე;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.2.2. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4.2. მიაწოდოს საქონლის სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლოგისტიკის სამსახურის უფროსი - როლანდ ბოლქვაძე;

7.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები . იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს , მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი

შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ლოკაციაზე;

9.2 მიწოდებული საქონლის ყოველი პარტიიდან, შემსყიდველის მიერ გარკვეული ნაწილის დაწუნების (უხარისხობის გამო) შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია იმავე დღეს ჩაანაცვლოს იგი ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი საქონლით, სრული მოცულობით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მიწოდება ჩაითვლება არასრულყოფილად მიწოდებაში და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ლოკაციაზე;

9.3 დადგენილ ვადაში განმეორებით შეკვეთილი პარტიის მიუწოდებლობის, დაგვიანებით მიწოდების, არასრულყოფილად მიწოდების, უხარსიხო საქონლის მიწოდების და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე ადრე, ცალმხრივად შეწყვეტის საკითხი და მიმწოდებლის მიმართ გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

9.4 დასარიცხი პირგასამტეხლოს დღეების ოდენობა განისაზღვრება მომდევნო მიწოდების დღემდე;

9.5 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.6 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს:

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

11.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

13.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 20 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2021 წლის 8 აპრილიდან - 2022 წლის 31 იანვრამდე;

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მიმწოდებლი:
შპს „გკ ჯგუფი“
მის: კ.გამსახურდიას ქ #36
საიდენტიფიკაცო კოდი: 445425861
ს.ს. "პროკრედიტ ბანი, საქართველო"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ნ GE46PC0033600100052998

თენგიზ აფხაზავა

გიორგი კაკაბაძე

დანართი N 1 - ტექნიკური მახასიათებლები

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები
1	ტუალეტის ქაღალდი (ე.წ. სმარტი)	შეფუთული ქარხნულად; 100%-იანი ცელულოზა; პერფორირებული, რბილი; ფენების რაოდენობა: 2 ფენა; ფურცლის ზომა: 11,6x17,5სმ; ერთი რულონის წონა:475 გრ; ერთი რულონის სიგრძე: 120 მეტრი; შეფუთული და ეტიკიტირებული ქრხნული წესით; შეფუთვაზე მითითებული შტრიხკოდით; მიმწოდებელი უზრუნველყოფს, 34 საბავშვო ბაღში, დროებით, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში 700 ცალი ე.წ. სმარტის აპარატის მონტაჟს, აპარატიდან ქაღალდი გამოდის ცალკ-ცალკე (არ საჭიროებდეს მოხევას). აპარატი შეესაბამება შემოთავაზებული ხელსახოცის პარამეტრებს. სმარტის აპარატები რჩება მიმწოდებლის საკუთრებაში, ხოლო ხელშეკლრულების ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელი უფლებამოსილია განახორციელოს აპარატების დემონტაჟი/გატანა. აპარატების დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიმწოდებელს აუნაზღაუროს დაზიანებული აპარატების ღირებულება
2	ქაღალდის ხელსახოცი	100%-იანი ცელულოზა, რბილი სიგრძეxსიგანე: 22,5X26,5სმ (გაშლილ მდგომარეობაში) შეფუთული და ეტიკიტირებული ქრხნული წესით, შეფუთვაზე მითითებული შტრიხკოდით შეფუთვა: 100 ცალიანი; შეკვრის წონა - 96,8 გრ
3	ქაღალდის ხელსახოცი დისპანსერის	ქაღალდის ხელსახოცი, კედლის მექანიკური დისპენსერისთვის; 100%-იანი ცელულოზა, რბილი; სიგრძე: 20სმX24სმ (გაშლილ მდგომარეობაში); შეფუთული და ეტიკიტირებული ქრხნული წესით შეფუთვა: 200 ცალიანი; შეკვრის წონა: 320 გრ;
4	თხევადი საპონი	თხევადი ხელის საპონი; ანტიალერგიული, ანტიბაქტერიული; სასიამოვნო სუნით; კანიდან ადვილად მოშორებადი; ადვილად აქაფებადი; მოცულონა: 5ლ
5	საყოფაცხოვრებო საპონი	საყოფაცხოვრებო საპონი 72%-იანი; მაღალი აქაფების ხარისხით; ყოველი ცალი შეფუთული ქარხნულად; როგორც ცივ ასევე ცხელ წყალზე; წონა: 180 გრ;

დანართი N2 - ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ტუალეტის ქაღალდი (ე.წ. სმარტი)	რულონი	9960	6,50	64740
2	ქაღალდის ხელსახოცი	შეკვრა	43000	0,97	41710
3	ქაღალდის ხელსახოცი დისპანსერის	შეკვრა	15000	3	45000
4	თხევადი საპონი	ცალი	1000	11,80	11800
5	საყოფაცხოვრებო საპონი	ცალი	1400	1,25	1750
ჯამი					**165000**

დანართი N 3 - ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნისა და მწარმოებლის შესახებ

N	საქონლის დასახელება	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი
1	ტუალეტის ქაღალდი (ე.წ. სმარტი)	თურქეთი	HAYAT KIMIA SAN.A.S
2	ქაღალდის ხელსახოცი	თურქეთი	HAYAT KIMIA SAN.A.S
3	ქაღალდის ხელსახოცი დისპანსერის	თურქეთი	HAYAT KIMIA SAN.A.S
4	თხევადი საპონი	თურქეთი	ENDEKS KIMYA SAN VE TIC A.S.
5	საყოფაცხოვრებო საპონი	უკრაინა	ТОВ "СЛОБОЖАНСЪКИЙ МИЛОВАР"

დანართი N4 - მისამართები

საბავშვო ბაღი	მისამართი
N1	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ N25
N2	ქ. ბათუმი, ვ. ფშაველას ქ N5
N3	ქ. ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N51
N4	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N8
N5	ქ. ბათუმი, გ. მაზნიაშვილის ქ. N28
N6	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N22 ა
N7	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N17
N8	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N4 ა
N9	ქ. ბათუმი, ნ. ფიროსმანის ქ. N9
N10	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N14
N11	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N5
N12	ქ. ბათუმი, ა. წერთლის ქ. N30
N13	ქ. ბათუმი, ი. ანდრონიკაშვილის ქ. N44
N14	ქ. ბათუმი, ვ. ფშავალას ქ. N83
N15	ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. N65
N16	ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. N113
N17	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N104
N18	ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქ. N3
N19	ქ. ბათუმი, სვიშევსკი ქ. N1
N20	ქ. ბათუმი, ჯ. ქათამაძის ქ. N38
N21	ქ. ბათუმი , მ. ლერმონტოვის ქN
N22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. N4
N23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N281
N24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N318
N25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N102
N26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. N2
N27	ქ. ბათუმი , მ. ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
N28	ქ. ბათუმი, ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ N4
N29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება, პეტრე იბერის ქN1
N30	ქ. ბათუმი, ბარცხანის დასახლება, ი. ნონეშვილის ქ N 60
N31	ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. N14
N32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის XII ჩიხი
N33	ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება, მამია ვარშანიძის I შესახვევი
N34	ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, ც. დადიანის ქN14